ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37211033**
თარიღი:**13/04/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ საკრებულოს წევრის გოჩა მდინარძის ინიციატივისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე შეისწავლა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში არსებული ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის ნაწილისათვის სახელის გადარქმევისა და ცნობილი ექიმის ნიკა ქარცივაძის სახელის მინიჭების საკითხი.

2021 წლის 01 აპრილს ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივის საჯარო განხილვა. განხილვის პროცესში აღინიშნა.

ნიკა ქარცივაძეს აქ უდიდესი დამსახურება კურორტ ურეკის განვითარებისა და საერთაშორისო დონეზე პოპულარიზაციის საქმეში. ის რომ სადღეისოდ დაბა ურეკი ერთგვარი სავიზიტო ბარათია ტურისტების, დამსვენებლებისა და მაგნიტური ქვიშით მკურნალობის მსურველებისათვის, უთუოდ არის ნიკა ქარცივაძის დამსახურება.

საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ის გარემოებაც, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის ის მონაკვეთი, რომელიც ზემოთ აღნიშნული ინიციატივის შესაბამისად უნდა ეწოდოს ნიკა ქარცივაძის სახელი, შეადგენს ქუჩის მნიშვნელოვან ნაწილს. შესაბამისად, მეორე ნაწილისათვის ექვთიმე თაყაიშვილის სახელის შენარჩუნება შექმნის გარკვეულ უხერხულობას. დიდი ალბათობით, საკრებულოს ასეთ გადაწყვეტილებაზე

მოსალოდნელია შესაბამისი სამთავრობო კომისიიდან თანხმობის მიუღებლობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაბა ურეკში უკვე არსებობს ნიკა ქარცივაძის ქუჩა.

ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლის, მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვისა და საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკრებულომ დროებით შეაჩეროს დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩის ნაწილისათვის სახელის გადარქმევისა და ნიკა ქარცივაძის სახელის მინიჭების შესახებ გოჩა მდინარაძის ინიციატივის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები.

2. ეთხოვოს საკრებულოს წევრს გოჩა მდინარაძეს და დაბა ურეკში მერის წარმომადგენელ დავით რობაქიძეს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოამზადონ ახალი ინიციატივა ცნობილი ექიმის ნიკა ქარცივაძის სახელის უკვდავსაყოფად.

ლავრენტი ბიგვავა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი